სსიპ-კოლეჯი „მერმისი“

2019 წლის ანგარიში

როგორც თქვენთვის ცნობილია, კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად წარმოგიდგენთ კოლეჯის მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

კოლეჯის ავტორიზაცია და ახალი პროგრამების დამატება

2019 წელს კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N157 გადაწყვეტილების საფუძველზე 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და მოიპოვა 18 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული პროგრამის დუალური სწავლებით განხორციელების უფლება,

ავტორიზაციისათვის მზადების პერიოდში განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით მომზადდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი 18 პროგრამა, ადაპტირებული იქნა 382 მოდული.
- ✓ პროგრამების შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიებთან 70 ახალი მემორანდუმი/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
- ✓ გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, როგორც მოქმედ, ასევე კერძო სექტორიდან მოწვეულ 67 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
- ✓ კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავდა და შეტანილი იქნა ცვლილებები შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

კონტიგენტის მოძრაობა

კოლეჯში ყოველწლიურად იზრდება სწავლის მსურველ პირთა რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ა) 2019 წლის გაზაფხულზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 190 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 1010 სწავლის მსურველი პირი.

ბ) 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე 17 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 500 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 1934 სწავლის მსურველი პირი.

2019 წლის განმავლობაში სსიპ-კოლეჯში „მერმისი“ 36 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (28 მოდულური, მათ შორის მე-5 საფეხური - 3 პროგრამა, მე-4 საფეხური - 5 პროგრამა, მე-3 საფეხური - 20 პროგრამა და 8 საგნობრივი პროგრამა) 82 ჯგუფში სწავლობდა 1169 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 64 სსსმ სტუდენტი. რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვა 4 სტუდენტმა და მათ სწავლა დაიწყეს ქართული ენის მოდულით.

2019 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსიპ-კოლეჯში ,,მერმისი“ სწავლა დაასრულა 309 სტუდენტმა, დასაქმდა 86%.

არსებული კვოტების და მიღებულ სტუდენტთა თანაფარდობა

2019 წლის გაზაფხულის მიღება

N	პროგრამის დასახელება	კვოტა	აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა	თანაფარდობა	შენიშვნა
1	კონდიტერი	40	11	22	21	40/32	
2	კულინარიის ხელოვნება (მოდულური)	60	38	22	18	60/56	
3	საოფისე საქმე	80	32	48	34	80/66	
4	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	80	33	44	37	80/70	
5	თმის სტილისტი	40	17	23	23	40/40	
6	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	60	39	21	18	60/57	
7	კულინარიის ხელოვნება (დუალური)	17	7	10	10	17/17	

2019 წლის შემოდგომის მიღება

N	პროგრამების დასახელება	კვოტა	აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა	გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა	თანაფარდობა	შენიშვნა
1	სამკერვალო წარმოება	100		46	35	100/35	შემოდგომის მიღების დროს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მილევად პროგრამაზე იყო 42 აქტიური სტუდენტი
2	მხატვრული ქსოვა	32		20	10	32/10	
3	თექის დამზადება	32		20	10	32/10	
4	თმის მომსახურება	80		44	42	80/42	შემოდგომის მიღების დროს

							თმის სტილისტის მილევად პროგრამაზე იყო 27 აქტიური სტუდენტი
5	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	28		28	11	28/11	
6	მომინანქრება	40		40	30	40/30	
7	ხის მხატვრული დამუშავება	20		20	20	20/20	
8	კონდიტერია	32		20	22	32/22	
9	კულინარიის ხელოვნება	80	43	24	23	80/66	
10	ძრავას შეკეთება	40		20	19	40/19	
11	სავალი ნაწილის შეკეთება	20		20	18	20/18	
12	იატაკის და ფილის სამუშაოები	32		20	16	32/16	შემოდგომის მიღების დროს ფილამწყობის მილევად პროგრამაზე იყო 13 აქტიური სტუდენტი
13	ელექტროობა	40		24	22	40/22	
14	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	80	21	44	43	80/64	
15	ვებტექნოლოგიები	40		22	22	40/22	შემოდგომის მიღების დროს ვებ ინტერფეისის დეველოპერის მილევად პროგრამაზე იყო 8 აქტიური სტუდენტი
16	საოფისე საქმე	80	14	48	43	80/57	
17	ბუღალტრული აღრიცხვა	40		40	38	40/38	

შენიშვნა: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების უწყვეტობის მიზნით, 2019 წლის შემოდგომის მიღების დაგეგმვისას, გათვალისწინებული იქნა 2020 წლის გაზაფხულის და შემოდგომის მიღებები, ასევე ზრდასრულთათვის მომზადება/გადამზადების სერვისების შეთავაზება.

განხორციელებული პროექტები

1. ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული იქნა მომზადება/გადამზადების პროგრამები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ ფარგლებში 2019 წელს 6 პროგრამაზე **135** ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა **288** ბენეფიციარი, მომზადდა 135 მსმენელი, დასაქმდა 91%.

2. 2019 წელს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2 ეტაპად (გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრი) სსიპ - ქალაქ თბილისის 13 საჯარო სკოლაში განხორციელდა 20 პროფესიული უნარების კურსი, სადაც ჩართული იყო 232 მოსწავლე. ასევე ქ. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის N51 საჯარო სკოლაში სასერტიფიკატო პროგრამა ორ ეტაპად გაიარა 20 მოსწავლემ. პირველად კოლეჯში ,,მერმისი“ N 114 და N 133 საჯარო სკოლის 28 მოსწავლე დაეუფლა პროფესიული უნარების განვითარების 2 პროგრამას.

3. იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-სთან თანამშრომლობით ევროკავშირისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ ფარგლებში 2019 წელს N15 პენიტენციურ დაწესებულებაში გადამზადდა 30 მსჯავრდებული პირი (,,ტიხრული მინანქარი“ -10, ,,მემინანქრე“ -20).

4. მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში 2019 წელს კოლეჯის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ექვსი არასრულწლოვანი მსჯავრდებული პირი გადამზადდა ტრენინგ-კურსზე ,,ინგლისური ენა“.

რეფორმის ინიციატივებში მონაწილეობა

ა) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ მხარდაჭერით განხორციელებული იქნა „კულინარიის ხელოვნების“ დუალური სწავლებით პროგრამის პილოტირება კერძო სექტორთან თანამშრომლობით, რომელიც დასრულდა 2019 წელს და ხუთივე კურსდამთავრებული დასაქმდა იმავე კომპანიებში, სადაც გადიოდნენ სწავლებას. ამჟამად „კულინარიის ხელოვნების“ დუალურ პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება შპს „ჯი ემ თი მთაწმინდასთან“ ერთად, სწავლობს 10 სტუდენტი.

ბ) მომზადება/გადამზადების პროგრამები

კოლეჯმა ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და კომპეტენციების განვითარების მიზნით, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით შეიმუშავა და განხორციელების უფლება მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების 6 პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც პირველ ეტაპზე მომზადდება 135 ბენეფიციარი, მათ შორის ა(ა)იპ ,,დემოკრატიული განვითარების სააგენტოს“ დაკვეთით, ორი პროგრამის (,,ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება“, ,,ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება”) ფარგლებში განხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სერვისების საპილოტე მოდელში ჩართული 45 ბენეფიციარის მომზადება.

სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიასთან“ თანამშრომლობით შემუშავებული იქნა პროფესიული გადამზადების პროგრამა „ელექტრო უსაფრთხოება და ელექტრო ტექნიკის საფუძვლები“, რომლის ფარგლებში იგეგმება ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ 30 თანამშრომლის გადამზადება.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ კომპანიებთან: შპს „ანაბეჭდი“, შპს „მატერია“, შპს ,,ნეოტექი“, შპს „RAM MOTORS“, შპს „new life group”, შპს „ღები“ , შპს ,,იფანი, შპს ,,CDM, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შპს ,,მოდერნ ვილა“.

გ) ფორმალური განათლება

კოლეჯი ჩართულია ფორმალური განათლების აღიარების პილოტირების პროცესში. „ფორმალური განათლების აღიარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2019 წელს ტრენინგი ჩაუტარდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

დ) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ინტეგრირებული ზოგადი მოდულები) დანერგვა

კოლეჯი მონაწილეობს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ინტეგრირებული ზოგადი მოდულები) დანერგვის პილოტირების პროცესში. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის მიზნით ჩატარდა შესარჩევი კონკურსი, შეძენილი იქნა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.

ე) კოლეჯში განხორციელდა „პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი და პირობები“-ს პილოტირება. შედეგად კოლეჯში პროფორიენტაცია გაიარა და შემდგომ ჩაირიცხა 14 სსსმ პირი

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას. ბოლო პერიოდში კომპანიებთან ურთიერთანამშრომლობა ძირითადად დამსაქმებლების ინიციატივით ყალიბდება. რასაც ადასტურებს ის, რომ გასული წლის ბოლო პერიოდში ურთიერთთანამშრომლობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით კოლეჯს 70-ზე მეტმა კომპანიამ მიმართა.

2019 წელს გაფორმდა 150-ზე მეტი ახალი ურთიერთთამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან: შპს „ავთანდილ ცქვიტინიძე“ , შპს „დასტა რექორს მენეჯმენტი“, შპს „იფქლი დიღომი, სს „ჰიუნდაი ავტო ჯორჯია“, შპს „ვასაძის პური“, შპს „ჰუმანოიდ ჯორჯია“ , შპს „ფიქრის გორა“, სს „ნიკორა ტრეიდი“, შპს „ნატახტარი“, შპს „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგი“, შპს ძველი ტიფლისი“, შპს „რადისონ ბლუ ივერია“, შპს „ნეოტეკი“ და სხვა.

საერთაშორისო ურთიერთობები:

საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების, ევროპული გამოცდილების გაზიარების, გაცვლითი პროგრამების განხორციელების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წევრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა:

1. ესტონეთის ქ. ტალინის სამშენებლო სკოლასთან,
2. ლატვიის ქ. შაულაის სასწავლო ცენტრთან.

ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯი აქტიურად მუშაობს ხარისხის განვითარების კუთხით. ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით 2019 წელს ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს პროექტში „პროფესიულ კოლეჯებში ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესება“.

პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კვალიფიკაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების, აგრეთვე, ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანიის ეკონომიკის ფონდის (SES) პროგრამის

ფარგლებში 2019 წელს კოლეჯში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ სამკერვალო წარმოებისა და კულინარიის ხელოვნების მიმართულების SES ექსპერტები.

კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლმა მიიღეს მონაწილეობა შემდეგ ტრენინგებში: „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“, თანამედროვე კულინარული ტექნოლოგიების გამოყენება, პრაქტიკული უნარების გამომუშავება შპს „თეგეტა მოტორის“ ბაზაზე.

კოლეჯის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები შესყიდვების, ხარისხის უზრუნველყოფის, ფორმალური განათლების აღიარების, არაფორმალური განათლების აღიარების, ზრდასრულთა განათლების მომზადება-გადამზადების პროგრამების მომზადების, ინკლუზიური განათლების, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის კუთხით.

2019 წელს კოლეჯში სისტემატიურად ტარდებოდა შიდა ტრენინგები კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-გაუმჯობესების მიზნით.

კოლეჯში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვები, რომლის ანალიზის საფუძველზე 2019 წელს მოდიფიცირდა 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტური სერვისები

სსიპ კოლეჯი „მერმისი“ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა წახალისების ფორმებს იყენებს. კოლეჯის წარდგინებით:

ა) „ელექტროობის“ სპეციალობის საუკეთესო აკადემიური მოსწრების 6 სტუდენტი დაჯილდოვდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანია „იუ ჯი თი-ს“ მიერ ორგანიზებული შრომის უსაფრთხოების ტრენინგით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის" სპეციალობის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს სს „ენერგო - პრო ჯორჯია“-საგან დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით.

გ) 15-16 ივნისს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით „უნარები საქართველოსთვის - პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის 38 პროფესიულ სტუდენტს წახალისების მიზნით გადაეცა მადლობის სიგელი.

დ) „კულინარიის ხელოვნების“ სპეციალობის სტუდენტებს (38 სტუდენტი) გადაეცათ სერთიფიკატები SES-ის ექსპერტის მიერ ჩატარებული ევროპული კერძების მომზადების კულინარიულ მასტერ-კლასში მონაწილეობისათვის.

ე) სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კონსულტაცია ჩაუტარეს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს.

ღონისძიებები:

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ კოლეჯმა „მერმისი“ მონაწილეობა მიიღო:

1. 2019 წელს ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში გამართულ ევროკომისიის მიერ ორგანიზებულ ევროპის წამყვანი ფორუმი - ევროპული განვითარების დღეებში (EDD), რომლის მიზანია იდეებისა და გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გამართული სესიის „ადგილობრივი საზოგადოების მნიშვნელობა: პროფესიული განათლების გამოცდილებიდან პოლიტიკამდე“ ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო სსიპ - კოლეჯი „მერმისი“, რომელმაც სესიაზე სხვადასხვა

ქვეყნებიდან მოწვეულ სტუმრებს გაუზიარა გამოცდილება საქართველოში პროფესიული განათლების მიღწევების შესახებ კოლეჯის „მერმისი“ მაგალითზე.

2. გამოფენების ცენტრში ექსპოჯორჯია, უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-9 საერთაშორისო გამოფენაში.

3. ქ. ქუთაისში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში "გააზიარე ცოდნა".

4. ქ. თბილისში გამართულ ღონისძიებაში „უნარები საქართველოსთვის - პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები“.

5. ევროკავშირის პროექტის „Skills4Jobs“ მე-2 ფაზის წარდგენის ღონისძიებაში „განათლება დასაქმებისთვის“.

6. საქართველოს მაშტაბით გამართულ რიგით მე-2 ყოველწლიურ სტუდენტურ ოლიმპიადაში აიტი სპეციალობაში. კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტმა 14 სახელმწიფო კოლეჯის 33 მონაწილეს შორის რიგით მეოთხე საპრიზო ადგილი დაიკავა.

7. შშმ პირთა სიმღერის, ცეკვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე – „ივერია ბრილიანტი“. პროექტი ხორციელდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. ღონისძიებაზე კოლეჯი საუკეთესო პარტნიორის ტიტულით დაჯილდოვდა.

კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების, სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმირების მიზნით მოაწყო შეხვედრები:

ა) ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან.

ბ) ქ. თბილისის საჯარო სკოლის დირექტორებთან.

გ) პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან

დ) დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან